საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №6

ქ.თბილისი **15.07.2015**

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

გიორგი კამკამიძე - შპს ნეოლაბის დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში თავმჯდომარე);
ნინო დავლაშერიძე - ა(ა)იპ საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი, (შემდგომში მდივანი);
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მთავარი მკვლევარი;
ნანა ცერცვაძე - ა(ა)იპ საქართველოს ბიზნეს ასოციაციის სექტორული განვითარების ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

თამარ ზაალიშვილი - დირექტორის მოადგილე;
ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
ელენე ვეკუა - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
მარიამ შოშიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტები:
გიორგი გვალია,
დავით გეგეჭკორი,
თამარ გაიხარაშვილი,
ხათუნა საგანელიძე,
ეკა ეკალაძე,
შორენა ჭუმბურიძე,
თეიმურაზ კოჩაძე,
ვაჟა ტრაპაიძე,
მურად გარუჩავა,

გოჩა თუთბერიძე,
ია ნაცვლიშვილი,
რევაზ ხოფერია,
ქეთევან ქოქრაშვილი.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
თამარ შუდრა,
ბაია ივანეიშვილი,
ივანნა მაჩიტიძე,
რასულ დიქმენი;

ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
დავით კერესელიძე,
ეკატერინე კლდიაშვილი,
ელენე მამუკელაშვილი;

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
ნანა შავლაყაძე,
გიორგი ღავთაძე;

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
გიორგი ძიძიგური,
ხათუნა მხეიძე,
იური ლომიძე,
მარინა ჯავახიშვილი,
ლევან კლიმიაშვილი,
ირმა ინაშვილი,
ალექსანდრე დავითაშვილი,
მარიამ ხომასურიძე;

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ს წარმომადგენლები:
კახაბერ ერაძე,
შორენა ხუბუნაია;

შპს კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
ზაზა მარუაშვილი;
ნუგზარ სხირტლაძე.

აკრედიტაციის საბჭოს სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების (ქართულენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგის განხილვა;
4. ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მედიცინის სადოქტორო საგანმნანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მევენახეობისა და ენოლოგიის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყლის ინჟინერიის ქართულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყლის ინჟინერიის ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყლის ინჟინერიის რუსულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის - „მედიცინა+PBL“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. შპს ინტერბიზნესის აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. შპს ინტერბიზნესის აკადემიის ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15. შპს კავკასიის უნივერსიტეტის შედარებითი სახელშეკრულებო სამართლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

16. შპს კავკასიის უნივერსიტეტის შედარებითი სახელშეკრულებო სამართლის გერმანულენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. თავად განაცხადა აცილება სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით რადგან თავად იყო სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი და შესაბამისად, ვერ მიიღებდა აღნიშნული დაწესებულების საკითხის განხილვისას კენჭისყრაში მონაწილეობას. იქიდან გამომდინარე რომ აცილების შემდეგ დარჩებოდა საბჭოს 4 წევრი, სამედიცინო უნივერსიტეტის საკითხი განხილვა გადაიდო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.

ლევან მადათოვმა საბჭოს წარუდგინა შპს ინტერბიზნესის აკადემიის წერილი, სადაც დაწესებულება ითხოვდა საკითხების აკრედიტაციის საბჭოს შემდგომ სხდომაზე გადადებას.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შუამდგომლობის დაკმაყოფილება და დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების (ქართულენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგის განხილვა;
4. ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მედიცინის სადოქტორო საგანმნანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის - „მედიცინა+PBL“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყლის ინჟინერიის ქართულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

8. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყლის ინჟინერიის ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყლის ინჟინერიის რუსულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მევენახეობისა და ენოლოგიის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. შპს კავკასიის უნივერსიტეტის შედარებითი სახელშეკრულებო სამართლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. შპს კავკასიის უნივერსიტეტის შედარებითი სახელშეკრულებო სამართლის გერმანულენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების (ქართულენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა

2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (ინგლისურენოვანი) მონიტორინგის შედეგების განხილვა

3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა დავით გეგეჭკორმა აღნიშნა რომ პროგრამებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს შენიშვნები არ ჰქონდათ და საბჭოს წარუდგინა მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე სასურველი იქნებოდა სალექციო კურსი ,,საქართველოს საგარეო პოლიტიკა'' არჩევითიდან გადასულიყო სავალდებულოში;
- 10 კრედიტიანი საგნები მაგისტრატურაში შემცირებულიყო 5 ან 6 კრედიტამდე და გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე დამატებოდა სალექციო კურსები, მაგალითად საერთაშორისო უსაფრთხოება;
- საბაკალავრო პროგრამის სალექციო კურსში ,,დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტი'' სასურველი იქნებოდა „ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ" არჩევითი ლიტერატურიდან გადასულიყო სავალდებულოში;
- სასურველი იქნებოდა საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საფეხურის პროგრამის სავალდებულო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკა" უფრო მეტად მოიცავდეს დისციპლინის ძირითადი თეორიების სწავლებას, მათ შორის: დემოკრატიული მშვიდობის თეორიის, ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმის, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების, სოციალური კონსტრუქტივიზმის, ნეოკლასიკური რეალიზმის და ა.შ;
- სასურველი იქნებოდა საბაკალავრო საფეხურის კურსის „საგარეო პოლიტიკის ანალიზი" ფარგლებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა ჩანაცვლებულიყო შესავალი კურსის შესაბამისი წყაროებით. ამ ეტაპზე ამ კურსის ფარგლებში მოცემული სავალდებულო ლიტერატურა, წყაროების სირთულის გათვალისწინებით, უფრო სამაგისტრო საფეხურს შეესაბამებოდა, ვიდრე საბაკალავროს;
- სასურველი იქნებოდა სამაგისტრო საფეხურზე დამოუკიდებელი კურსის სახით მომხდარიყო „აკადემიური წერის" კურსის დამატება. ამ ეტაპზე პროგრამაში აკადემიური წერის თემატიკა ინტეგრირებული იყო კურსში „კვლევის მეთოდები", რაც ამცირებდა აკადემიური წერის შედეგებზე ეფექტიანად გასვლის შესაძლებლობას;
- სასურველი იქნებოდა საბაკალავრო პროგრამებს (როგორც ქართულენოვანს, ასევე ინგლისურენოვანს) დამატებოდა კურსი "საჯარო პოლიტიკის შესავალი". კურსის ფარგლებში სტუდენტები შეიძენდენ ცოდნას- საჯარო პოლიტიკის სფეროსა და პოლიტიკის ანალიზის ძირითადი მოდელების შესახებ. ასევე, აღნიშნული კურსის ფარგლებში სასურველი იქნებოდა

ისეთი საკითხების ინტეგრირება, როგორიცაა: საქართველოს პოლიტიკური სისტემის მოწყობა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკის, თავდაცვის, განათლების, ჯანდაცვისა და საჯარო პოლიტიკის სხვა სფეროებში. აღნიშნული კურსი ხელს შეუწყობდა სტუდენტებში ანალიტიკური უნარების განვითარებას, და მათ მისცემდა საბაზისო ცოდნას საჯარო პოლიტიკის აქტუალური საკითხების შესახებ .

- სასურველი იქნებოდა საბაკალავრო პროგრამაში უფრო მეტად იყოს წარმოდგენილი საერთაშორისო ეკონომიკის სწავლების კომპონენტი. ამ მიზნით, მნიშვნელოვანი იქნებოდა „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის" კურსის დამატება.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა ივანნა მაჩიტიძემ განაცხადა რომ მიღებული იყო ყველა რეკომენდაცია რომელიც ეხებოდა საერთაშორისო ურთიერთობების ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებს, ჩამატებულ იქნა პროგრამები და შეეძლოთ წარმოედგინათ სილაბუსებიც, ასევე თან ჰქონდათ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება განხორციელებული ცვლილებების თაობაზე.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა ვინაიდან განხორციელებული იქნა საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები თავად ამ პროცესში რა ტიპის სირთულეებმა იჩინა თავი და როგორ გაუმკლავდნენ მათ.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ ყველა კურსი რომელიც იქნა ჩამატებული ისედაც არსებობდა პროგრამაში უბრალოდ მოხდა ზოგიერთის გადანაწილება არჩევითი კურსების ბლოკში და გადანაწილდა დატვირთვაც. აღნიშნული ცვლილება შეეხო საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის პროგრამასაც.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა რა იყო მონიტორინგის დანიშვნის საფუძველი.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ არსებობდა მოქალაქის საჩივარი რომელშიც მას ეჭვი შეჰქონდა რომ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს შორის არსებობდა გადაფარვა.

ექსპერტმა გიორგი გვალიამ განაცხადა რომ პროგრამას მალე უწევდა აკრედიტაცია და სასურველი იქნებოდა განახლებულ ვერსიაში რეკომენდაციები და ცვლილებები უფრო სრულყოფილად ყოფილიყო ასახული. პროგრამებს ზოგადად აფასებდა დადებითად და ამ ეტაპზე თემატიკის და მიზნების დუბლირებას არ ჰქონდა ადგილი.

4. ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პოლიტიკისა და საერაორისო ურთიერობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი პოლიტიკაში
სწავლების ენა	ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი	0705; 0702
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა ტარიელ სიხარულიძემ და გიორგი გვალიამ:

- სასურველი იქნებოდა სასწავლო კურსის „საერთაშორისო ორგანიზაციები" ფარგლებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა განახლებულიყო და კურსი დაფუძნებოდა უახლესი გამოცემებით სწავლებას;
- სასურველი იქნებოდა სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია" ფარგლებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა არ ყოფილიყო დაფუძნებული მხოლოდ ლექტორის კონსპექტებს და სწავლების პროცესში რელევანტური სახელმძღვანელოები გამოეყენებინათ;
- სასურველი იქნებოდა პროგრამას არჩევითი კურსის სტატუსით დამატებოდა სასწავლო კურსი „საგარეო პოლიტიკის ანალიზი". აღნიშნული კურსის ფარგლებში სტუდენტები შეიძენდნენ ცოდნას ისეთი საბაზისო საკითხების შესახებ, როგორიცაა: საგარეო პოლიტიკის არსი, საგარეო პოლიტიკის მიმართება შიდა პოლიტიკასთან, საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების განმსაზღვრელი აქტორები და ფაქტორები, საგარეო პოლიტიკის თეორიები და სხვ.
- სასურველი იქნებოდა პროგრამას არჩევითი კურსის სტატუსით დამატებოდა სასწავლო კურსი „დიპლომატიის შესავალი". აღნიშნული კურსი განსაკუთრებით რელევანტური პროგრამის საერთაშორისო ურთიერთობების კონცენტრაციისთვის იქნებოდა საჭირო;
- პროგრამის ზოგადსავალდებულო კომპონენტში შესაძლებელი იქნებოდა სასწავლო კურსის „საქართველოს პოლიტიკური სისტემა" სწავლება. აღნიშნული კურსის ფარგლებში სტუდენტები შეიძენდნენ ცოდნას საქართველოს პოლიტიკური სისტემის ძირითადი მახასიათებლების შესახებ;
- სასურველი იქნებოდა პროგრამაში- საერთაშორისო ურთიერთობები უფრო მეტად გამოკვეთილიყო ევროპისმცოდნეობის კომპონენტი ისეთი საგნების სახით, როგორიცაა: ევროკავშირის პოლიტიკა და სისტემა, ევროპული ინტეგრაცია და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა პირველ და მეორე რეკომენდაციას. აუცილებლად მოხდებოდა ლიტერატურის გამდიდრება.

საბჭოს წევრი ნანა ცერცვაძე დაინტერესდა პროგრამა ახალი იყო თუ ძველი და რამდენ სტუდენტზე იყო ორიენტირებული.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ აღნიშნული პროგრამის შემუშავება მოხდა ამერიკულ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტის შემოერთების შემდგომ. პროგრამაზე ელოდებოდნენ სავარუდოდ 80 სტუდენტს.

წარმომადგენელმა განაცხადა რომ დასაქმების კუთხით გაფორმებული იყო მემორანდუმი საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და აგრეთვე წარმომადგენლობას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ბრიუსელის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია, დაინტერესდა თუ რა იგულისხმებოდა პოლიტიკაში და რას შეასწავლიდნენ პოლიტიკის კუთხით.

ექსპერტმა გიორგი გვალიამ განმარტა რომ პროგრამას ჰქონდა ორი კონცენტრაცია: პოლიტიკური მეცნიერებები და საერთაშორისო ურთიერთობები. და მესამე რეკომენდაციის ფარგლებში ეს ორი კურსი რეალურ პროცესებზე იყო ორიენტირებული, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია ეხებოდა ერთი კონკრეტული კურსის შეთავაზებას.

5. ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მედიცინის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	მედიცინის სადოქტორო პროგრამა
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მედიცინის დოქტორი
სწავლების ენა	ინგლისური/ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0901
კრედიტების რაოდენობა	180

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ხათუნა საგანელიძემ. მან განაცხადა რომ პროგრამა იყო ორიგინალური და განსხვავებული სხვა პროგრამებისაგან. აკმაყოფილებდა აკრედიტაციის სტანდარტებს. ვერ მოხერხდა აკადემიური პერსონალის გადამოწმება ვინაიდან ამ ეტაპზე უცნობი იყო თუ რომელ მიმართულებას აირჩევდა სტუდენტი.
ექსპერტის რეკომენდაციები გახლდათ შემდეგი:

- სასურველი იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამის მიზანში - ამოღებულიყო ფრაზა „.... და/ან დიაგნოსტიკურ და სამკურნალო დარგებში“;
- სასურველი იქნებოდა მოსულიყო შესაბამისობაში სასწავლო კურსის დასახელება პროგრამასა და სილაბუსში, კერძოდ, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის დასახელება - „სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტები“ სილაბუსში იკითხებოდა განსხვავებულად - „სადისერტაციო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტები“;
- სასურველი იქნებოდა ჩასწორებულიყო სილაბუსებში სწავლების პერიოდად მითითებული „გაზაფხული/ზაფხული“- სილაბუსის საუნივერსიტეტო ფორმის და ინგლისური ვერსიის შესაბამისად - „შემოდგომა/გაზაფხული“; სილაბუსების მე-3 პუნქტში, ცხრილში - სწავლების და სწავლის მეთოდები, ჩანაწერი - ნაცვლად „საკონტაქტო საათების რაოდენობა“ შეცვლილიყო „სულ საათების რაოდენობით“, ასევე შესაბამისობაში მოყვანილიყო რიგი სასწავლო კურსებისა: „სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტები“
„სწავლების მეთოდები I“, „I სემინარი“ სილაბუსებისა და პროგრამის ზოგადი კომპეტენციების განმსაზღვრელი ცხრილები;
- წინაპირობაში „დიპლომირებული ექიმი“ შეცვლილიყო „დიპლომირებული მედიკოსით“;
- პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად მითითებული ინგლისური ან რომელიმე ევროპული ენის B2 დონეზე ცოდნა შეცვლილიყო მხოლოდ ინგლისურით, ან სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალს დამატებოდა გერმანული და ფრანგულენოვანი ლიტერატურა;
- მიზანშეწონილი იქნებოდა რამდენიმე სილაბუსის შეფასების ნაწილში ჩასწორებულიყო, შემდეგი :
შეფასების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით სილაბუსში - „სადოქტორო ნაშრომის დახვეწა და დაცვა“ ჩამატებოდა ფრაზა - როგორც შუალედური, ისე დასკვნითი კომპონენტის საბოლოო ქულა იქნება შეფასებების საშუალო არითმეტიკული და ჩაიშალოს დასკვნითი

შეფასების 40 ქულა. სილაბუსებში „სწავლების მეთოდები I“ და „სწავლების მეთოდები II“ ჩაწერილიყო, რომ სტუდენტს ჰქონდა დასკვნითი შეფასების გადაბარების შესაძლებლობა;

- სასურველი იქნებოდა ჩასწორებულიყო პროგრამის მე-3 თავში მოცემული ცხრილის მე-4 გრაფის სათაური პროგრამის საუნივერსიტეტო ფორმის შესაბამისად- „ECTS (სემესტრის შეთავაზება სტუდენტის პროფილისთვის);

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ გამოცხადებული დაფინანსებული კვლევების ფარგლებში მოხდებოდა დოქტორანტების მიღება, სადოქტორო პროგრამის კონცეფცია გახლდათ ზოგადი ხასიათის, დაწესებულების საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის ბაზაზე მომუშავე ექიმები ჩართული არიან პროგრამის განხორციელებაში და შეთავსებით ახორციელებენ პედაგოგიურ საქმიანობასაც. კლინიკის ბაზაზე რამოდენიმე კვლევა უკვე დაფინანსებულია და შეასაბამისად დოქტორანტებს აღარ მოუწევდათ დაფინანსების მოძიება და კველავში მაშინვე ჩაერთვებოდნენ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორ ფინანსდებოდა კველევები. წარმომადგენელმა განმარტა, რომ არსებობდა კველევების დაფინანსების ჰიბრიდული მოდელი და აღნიშნა: კვლევა დასრულდებოდა სტუდენტის ავტორობითა და ხელმძღვანელის თანაავტორობით გამოქვეყნებული პუბლიკაციით. დაფინანსებაში დაწესებულებაც აქტიურად იყო ჩართული, ასევე ხდებოდა გრანტების მოძიებაც.

6. სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის - „მედიცინა+PBL“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	მედიცინა+PBL
განათლების საფეხური:	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	დიპლომირებული მედიკოსი (Medical Doctor, MD)
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	090101
კრედიტების რაოდენობა:	360

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ეკა ეკალაძემ. მან მოკლედ მოახსენა საბჭოს პროგრამის შესახებ, სათაურიდანაც ჩანდა, რომ პროგრამა დაფუძნებული იყო პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებაზე, რაც მედიცინის სფეროში თანამედროვე მეთოდი იყო. პროგრამა Tempus-ის პროექტის ფარგლებში შემუშავდა უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობით. პროგრამის განმახორციელებლები დიდი ენთუზიაზმით და პასუხისმგებლობით მუშაობდნენ პროგრამაზე და დასახული ჰქონდათ სამომავლო გეგმებიც. ექსპერტმა საბჭოს გააცნო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები:

- კურიკულუმიდან ირკვევა, რომ პროგრამა აგებულია 49 პდს – ქეისზე, თუმცა პროგრამას თან ახლავს მხოლოდ ერთი მათგანი (ქეისი – გიორგი მარშანია). ტემპუსის საგრანტო პირობებიდან გამომდინარე, ექსპერტებს არ მიეცათ საშუალება ყველა ქეისის ნახვისა და შეფასების. თუმცა, პროგრამის შემუშავება/ განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან გასაუბრების, სასწავლო კურსების სილაბუსების და წარმოდგენილი ქეისის დეტალური განხილვის შეჯერების საფუძველზე შეიძლება ვივარუდოთ, რომ ყველა ქეისი ინტენსიური მუშაობის, დეტალური განსჯის შედეგადაა მისადაგებული შესაბამის მოდულს.
- იმ სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომელთაც ეხება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი, ინფორმაცია აღნიშნული მეთოდის შესახებ მხოლოდ შეფასების სისტემაში გვხვდება. სასურველია, სილაბუსებში იყოს გარკვეული (აღწერილობითი) სახის ინფორმაცია ამ მეთოდის გამოყენების შესახებ, მით უმეტეს, რომ პდს სპეციალური კვირა (კვირები) აქვს დათმობილი და შეფასებაშიც მისი წილი საკმაოდ სოლიდურია (10%).
- სილაბუსების ნაწილში, შეფასების სისტემაში აღნიშნულია ესსე, როგორც შეფასების ერთ–ერთი კომპონენტი, თუმცა, სილაბუსში არსადაა დაზუსტებული შეფასების ამ კომპონენტის არსი: ვინ არჩევს თემას ესსესთვის, რა სახით უნდა წარმოადგინოს სტუდენტმა, როდის, რა მოცულობით. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, ეს აპრობირებული მეთოდია და სტუდენტებს ინფორმაცია კურსის დაწყებისთანავე მიეწოდებათ.
  სასურველია, გარკვეული სახის ინფორმაცია აღნიშნული მეთოდის შესახებ სილაბუსითაც იყოს მოწოდებული.
- ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგალითად, ნევროლოგია, ფსიქიატრია, რევმატოლოგია, ნუტრიციოლოგია (დანართი #1)) წინაპირობები პროგრამაში არ არის განსაზღვრული.

ვინაიდან ზემოაღნიშნული სასწავლო კურსები მოითხოვს გარკვეული საკითხების წინამორბედ ცოდნას, ამიტომ, ვფიქრობთ, ეს საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

- სასწავლო კურსის „ოტორინოლარინგოლოგია" (მოდული: სიცოცხლის ხელშეწყობა/მხარდაჭერა) შედეგებით (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი) გათვალისწინებულია ზოგიერთი ისეთი სახის მანიპულაციის ჩატარება, რომელთა თეორიულ დონეზე დამუშავება კურსის შინაარსით გათვალისწინებულია, თუმცა მათი პრაქტიკულად განხორციელება მედიცინის დარგობრივი მახასიათებლით სტუდენტს არ მოეთხოვება (დანართი #2). სასურველია, დაზუსტდეს აღნიშნული სასწავლო კურსის შედეგები.
- შპს „ბომონდთან" გაფორმებულ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულია ასეთი სახის ხარვეზი: მე–4 პუნქტში (მხარეთა უფლება–მოვალეობები) მითითებულია ხელშეკრულების მოქმედების ლოგიკური ვადა (2015 წლის 31 დეკემბრამდე), ხოლო მე–13 პუნქტში (სხვა პირობები) მითითებულია, რომ ხელშეკრულებას ვადა აქვს 2014 წლის 31 დეკემბრამდე, სავარაუდოდ, აღნიშნული ხარვეზი ხელშეკრულების განახლებისას იქნა დაშვებული, რადგან ხელშეკრულების დადების თარიღი 2015 წლის 8 იანვარია (დანართი # 3).
  სასურველია, გასწორდეს აღნიშნული სახის ხარვეზი ხელშეკრულებაში.
- კურიკულუმით მე–11 სემესტრში გათვალისწინებულია საკურსო ნაშრომი , რაც პროგრამის კვლევით ნაწილს კიდევ უფრო ამდიდრებს. თუმცა, აღნიშნული კურსის სილაბუსი ზოგადი ხასიათისაა და რეალურად მას გაიდლაინის სახე აქვს ზოგადად საკურსო ნაშრომის მომზადებისათვის: არ არის ინფორმაცია, თუ რა მიმართულებაზე, ვისი ხელმძღვანელობით (თუ – დამოუკიდებლად) შეიძლება მუშაობა, სავარაუდოდ, ვინ არჩევს ნაშრომს და სხვ.
  სასურველია, კონკრეტულ სილაბუსში ან სხვა რაიმე დამოუკიდებელ დოკუმენტში ინფორმაცია, უფრო დეტალურად იყოს გაწერილი, რომ სტუდენტისათვის ადვილად აღსაქმელი აღმოჩნდეს აღნიშნული კურსის ფარგლებში მის მიერ შესასრულებელი სამუშაო.
- პროგრამაში გათვალისწინებული 49 ქეისი ისეა განაწილებული, რომ 3 მათგანი განიხილება პირველივე სემესტრში (კლინიკურ მედიცინის საწყისების კურსში), არც ერთი – მეორეში და მხოლოდ ერთი – მესამეში. ქეისების უმეტესობა მოდის მე–5–10 სემესტრებზე.
- მეორე – მესამე სემესტრებში ისწავლება საბაზისო მეცნიერებები. იმის გათვალისწინებით, რომ ფუნდამენტური, ბაზისური მედიცინის ცოდნის აუცილებლობის შეგრძნება სტუდენტის მოტივაციისთვის, მისი მომავალი პროფესიისათვის, ზოგადად, ძალიან მნიშვნელოვანი და კრიტიკულია, ხოლო პბს მეთოდი ამის საუკეთესო საშუალებაა, ექსპერტების რეკომენდაციაა ამ სასწავლო კურსებისთვის შესაბამისი ქეისების მოძიება/შექმნა და ჩართვა სასწავლო პროგრამაში.
- აღსანიშნავია, რომ ვიზიტის ფარგლებში ვერ მოხერხდა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების სრულად გადამოწმება ობიექტური მიზეზების გამო (პროფესორების პირადი საქმეები პროკურატურაშია შესასწავლად). აღნიშნული ფაქტი ხელს უშლის პროგრამის სრულყოფილ შესწავლას, ამიტომ, სასურველია, განახლდეს და სრულყოფილ იქნას აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი ღავთაძემ აკადემიური პერსონალის პირად საქმეებთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროკურატურამ გაითხოვა იმ პირების პირადი საქმეები, ვისაც იმ დროს აკადემიური თნამდებობები ეკავა. მისი თქმით გამოძიება მალე დამთავრდებოდა და ყველა დოკუმენტი დაუბრუნდებოდა დაწესებულებას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენად კოორდინირებულად მიმდინარეობდა პროგრამაზე მუშაობა და რა სირთულეები ახლდა პროცესს.

პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, სამუშაო იმდენად შრომატევადი იყო, რომ ერთი და 3 პროფესორი მარტო ვერ გაუმკლავდებოდა. ორ წელიწად ნახევარი მუშაობდნენ უცხოელ პარტნიორებთან ერთად. ევროპელი პარტნიორებისგან საჩუქრად გადაეცათ 54 ქეისი, მის თარგმნასა და ქართულ რეალობაზე მოსარგებად ერთი ჯგუფი მუშაობდა, ტუტორების შერჩევა-მომზადებაზე მეორე და ა.შ. უნივერსიტეტმა უზარმაზარი რესურსი ჩადო პროგრამაში, უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული ერთი კორპუსი გარემონტდა და დაეთმო. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ძალიან ბევრი მეხუთე-მეექვსე კურსის სტუდენტი იყო დაინტერესებული და მწუხარებას გამოთქვამდა, რომ მათი სწავლის პერიოდში აღნიშნული მეთოდით არ მიმდინარეობდა სწავლება.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა ერთი რომელიმე კონკრეტული ქეისის სახელით და რა უნდა გაეკეთებინა სტუდენტს ქეისის განხილვისას.

პროგრამის ხელმძღვანელმა მაგალითად მოიყვანა ე.წ. გიორგი მარშანიას ისტორია. ქეისი განიხილებოდა ყველა კუთხიდან, სამედიცინო, სამართლებრივი და ა.შ. პაციენტს მოყვებოდა განხილვა, ძირითადი ჰიპოთეზების ჩამოყალიბება. მისთვის უცხო საკითხებს სტუდენტი ადგილზევე მოინიშნავდა, დამოუკიდებლად მოიძიებდა ინფორმაციას, მომდევნო განხილვაზე მომზადებული მოვიდოდა ყველა სტუდენტი და შეჯამდებოდა წინა მეცადინეობა, გამოიკვეთებოდა მომდევნო მეცადინეობისთვის მოსამზადებელი საკითხები. თანდათან მასალა რთულდებოდა და ჩადიოდა სიღრმეში.

ექსპერტის თქმით მეთოდი გულისხმობდა არა ტრადიციული მეთოდით სწავლის გადაცემას, არამედ სტუდენტი იძულებული იყო თავად მოეძებნა მისთვის საჭირო საკითხები. არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ მედიცინით, ქეისები უნდა განხილულიყო ჯანდაცვის, სამართლის და სხვა კუთხით.

საბჭოზე დამსწრე დავით კერესელიძემ ითხოვა კითხვის დასმის უფლება და დაინტერესდა, უნივერსიტეტში უკვე არსებულ სამედიცინო პროგრამას რას უპირებდნენ, რატომ გადაწყდა ახალი პროგრამის შექმნა. PBL იყო მეთოდი და პროგრამის რამდენიმე სასწავლო კურსში მეთოდის დამატება აკრედიტაციას არ საჭიროებდა. მისი აზრით, სხვანაირი არც უნდა ყოფილიყო პროგრამა.

ექსპერტის განმარტებით, მართალია, პროგრამების უმრავლესობაში მოაზრებული იყო პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის მეთოდი, თუმცა აღნიშნული პროგრამა აგებული იყო PBL მეთოდზე. ამიტომ, გამართლებული იყო ახალი პროგრამის შექმნა, სახელწოდების ფორმულირება კი სხვაგვარადაც შეიძლებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით არსებული პროგრამა ტრადიციულ მეთოდებზე იყო აგებული. ხოლო სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა მისი სტრუქტურით, სწავლის მეთოდებით, აკადემიური პერსონალით სრულიად განსხვავებული. საბოლოოდ ძველი პროგრამა გაუქმდებოდა და იმუშავებდა მხოლოდ ახალი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საზღვარგარეთ, როდესაც სტუდენტი მიდიოდა სამედიცინო პროგრამაზე მას უკვე გავლილი ჰქონდა 4 წლიანი მოსამზადებელი კურსი, რაც საქართველოში არ ხდებოდა. აღნიშნული პროგრამა იყო უცხოური პროგრამის ანალოგი და დაინტერესდა, როგორი იყო დაწესებულების მიდგომა ამ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით უცხოელი კოორდინატორების მოთხოვნების გათვალისწინებით აიგო პროგრამა, თუმცა გათვალისწინებული იქნა ქართული რეალობა და თემატიკა დალაგდა მარტივი საბაზისო საკითხებიდან რთულისკენ.

ექსპერტის თქმით, პირველი და მეორე კურსი კურიკულუმის მიხედვით, ეთმობოდა იმ საკითხების შესწავლას და ცოდნის შევსებას, რასაც საზღვარგარეთ 4 წლიანი მოსამზადებელი კოლეჯი ითვალისწინებდა.

დავით კერესელიძე კვლავ დაინტერესდა PBL ცალკე კომპონენტად იყო თუ ყველა საგანში. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თითქმის ყველა საგანში იყო ჩადებული PBL.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა მომავალში თუ აპირებდა დაწესებულება უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაგრძელებას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაასასტურა, რომ მომავალშიც აპირებდნენ თანამშრომლობას ამ და სხვა ახალ პროექტზე.

7. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყლის ინჟინერიის ქართულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	წყლის ინჟინერია
განათლების საფეხური:	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების დოქტორი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0413
კრედიტების რაოდენობა:	180

8. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყლის ინჟინერიის ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	წყლის ინჟინერია
განათლების საფეხური:	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების დოქტორი
სწავლების ენა:	ინგლისური/Doctor of Environmental Engineering and Safety
კვალიფიკაციის კოდი:	0413
კრედიტების რაოდენობა:	180

9. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყლის ინჟინერიის რუსულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	წყლის ინჟინერია
განათლების საფეხური:	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების დოქტორი/Доктор инженерии окружающей среды и безопасности
სწავლების ენა:	რუსული
კვალიფიკაციის კოდი:	0413
კრედიტების რაოდენობა:	180

პროგრამებზე შემუშავებული დასკვნები ექსპერტებმა თეიმურაზ კოჩაძემ და ვაჟა ტრაპაიძემ წარადგინეს. მათ აღნიშნეს, რომ შეისწავლეს ინგლისური, ქართული და რუსულენოვანი პროგრამები, შეამოწმეს თვითშეფასების ანგარიშები, პროგრამები, სილაბუსები, გამართეს შეხვედრები პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, რომლებიც მონაწილეობდნენ პროგრამების შემუშავების პროცესში, ასევე, შეამოწმეს ლიტერატურის შესაბამისობა და შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომლებიც სამივე პროგრამისთვის საერთო იყო:

- პროგრამის საკვლევი სფეროს არეალის გაფართოების თვალსაზრისით, მისი შემდგომი განვითარების პროცესში, სასურველი იქნება არჩევითი საგნების ან მოდულის ცალკე ბლოკად გამოყოფა;
- მართალია, პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სფეროს მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალით, მაგრამ რადგანაც იგეგმება მისი როგორც ქართულ, ასევე რუსულ და ინგლისურ ენებზე განხორციელება, სასურველი იქნება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალით პროგრამის დამატებით გაძლიერება.

ექსპერტმა, თეიმურაზ კოჩაძემ, აღნიშნა, რომ ვიზიტი ჩატარდა 13 ივნისის ტრაგედიიდან რამოდენიმე დღის შემდეგ, ტრაგედიიდან რომელმაც საზოგადოებასაც დაანახა ამ მიმართულების სპეციალისტების მომზადების მნიშვნელობა.

ექსპერტი ვაჟა ტრაპაიძეც დაეთანხმა გამოთქმულ მოსაზრებას, აღნიშნა, რომ დასკვნა დადებითი იყო და დაამატა, რომ პროგრამა ანიჭებდა ხარისხს გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების კუთხით.

თავმჯდომარე, გიორგი კამკამიძე, დაინტერესდა, რა თანაფარდობით აპირებდნენ სტუდენტების მიღებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამის შემუშავების საფუძველი იყო მაგისტრატურის სტუდენტების მოთხოვნა, გაეგრძელებინათ სწავლა მომდევნო საფეხურზე. დეპარტამენტს ჰყავდა შესაბამისი აკადემიური პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები და გეგმავდნენ აგვისტოში კიდევ ორი ვაკანსიის გამოცხადებას ინგლისურენოვან აკადემიურ პერსონალზე, შესაბამისად, ექსპერტების რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნებოდა.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია, დაინტერესდა, საიდან შეიძლებოდა მოეზიდათ კადრები. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ისინი, ვინც მოწვეული სპეციალისტების სტატუსით იყვნენ, დაიკავებდნენ აკადემიურ თანამდებობებს.

ნათელა სახოკიამ იკითხა, სად ჰქონდათ მიღებული განათლება აღნიშნულ კადრებს, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ჰქონდათ დამთავრებული. ასევე აღნიშნა, რომ თვითონ ეკოლოგიის მიმართულებით კითხულობდა კურსებს და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მოსკოვის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ სადოქტორო საფეხური თავისთავად გულისხმობდა, რომ ლიტერატურა უცხოენოვანიც უნდა ყოფილიყო, არამხოლოდ ინგლისური, და რატომ ჩათვალა უნივერსიტეტმა საჭიროდ ცალკე გამოეტანათ რუსულ და ინგლისურენოვანი პროგრამები, როდესაც შეიძლებოდა ერთი პროგრამის ფარგლებში გაერთიანებულიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არსებობდა ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა, რომლის სტუდენტები ითხოვდნენ შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელებას, ასევე დაინტერესებული იყვნენ ირანელი, უნგრელი სტუდენტები. რუსულენოვან პროგრამაზე კი მოთხოვნა იყო სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და უკრაინიდან.

თამარ ბრეგვაძემ აღნიშნა, რომ ამ მხრივ სადოქტორო პროგრამა არ იყო შეზღუდული და შეიძლებოდა დაინტერესებული პირების მოთხოვნის დაკმაყოფილება ერთი პროგრამის ფარგლებში, თანაც სტუდენტს სტატია ისედაც უცხო ენაზე უნდა დაეწერა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ინგლისურენოვან პროგრამაზე მოდიოდნენ ისინი, ვინც განათლება ინგლისურად მიიღო, ასევე იყო რუსულენოვან პროგრამასთან დაკავშირებითაც.

თავმჯდომარემ, გიორგი კამკამიძე დაინტერესდა დაცვის დროს საბჭოს შემადგენლობა როგორ დაკომპლექტდებოდა, ერთი საბჭო იქნებოდა თუ სხვადასხვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საბჭო ერთი იქნებოდა, შეიძლებოდა მოწვეული წევრები შეცვლილიყვნენ, თარგმნაში კი თარჯიმანი დაეხმარებოდათ. მან აღნიშნა, რომ პროგრამა ჰოლანდიის ინსტიტუტის რეკომენდაციებით შედგა, რომლებიც მუშაობდნენ ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად, ათმა პროფესორმა მათთან სტაჟირება გაიარა, ჩაატარეს სემინარები. ავსტრიის წარმომადგენლებთან ერთად ლაბორატორიის გამართვას გეგმავდნენ, კორპუსი შენდებოდა პირველი კორპუსის ეზოში.

თამარ ბრეგვაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ პროგრამის შექმნის საფუძველი 5 სტუდენტის პრობლემის გადაჭრა იყო.

ექსპერტმა, თეიმურაზ კოჩაძემ მოიყვანა მაგალითი, როდესაც ჰქონდათ შემთხვევა, რომ დოქტორანტს არ მისცეს იმ ენაზე დაცვის უფლება, რომელზეც სურდა. თამარ ბრეგვაძემ აღნიშნა, რომ ეს უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების პრობლემა იყო და უნდა მისცემოდა სტუდენტს ამის უფლება.

თამარ ბრეგვაძემ განაცხადა, რომ არ მიაჩნდა მიზანშეწონილად, პროგრამის გახსნა იმის გამო, რომ ვიღაცას სასურველ ენაზე დაეცვა დისერტაცია, თუ სასწავლო კომპონენტი არ იყო დიდი მოცულობის. თემურ კოჩაძემ აღნიშნა, რომ სასწავლო კომპონენტს 60 კრედიტი ეთმობოდა.

თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა ადამიანური რესურსი თუ არსებობდა ინგლისურენოვანი პროგრამისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 5 პროფესორი ასწავლიდა ინგლისურად.

10. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მევენახეობისა და ენოლოგიის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	მევენახეობა და ენოლოგია
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	აგრარული მეცნიერებების მაგისტრი
სწავლების ენა:	ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი:	01
კრედიტების რაოდენობა:	180

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა მურად გარუჩავამ წარმოადგინა. მან საბჭოს წევრებს გააცნო შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია, პრაქტიკის სილაბუსში აღნიშნული იყოს პრაქტიკის ობიექტზე ადგილობრივი პრაქტიკის ხელმძღვანელის არსებობა.
- პროგრამის ერთ-ერთ მიზნად სახელდება დარგის თანამედროვე ინოვაციების სწავლება, რაც ცდება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საკვალიფიკაციო ჩარჩოს.
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ისეთი კურსების სწავლებისას, როგორიცაა "ენოლოგია" და "მიკრობიოლოგია" უფროე ფექტური იქნებოდა სწავლების ერთ-ერთ მეთოდად ლაბორატორიული მეთოდი გამოყენებულიყო.
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში უფრო კარგად იყოს წარმოდგენილი პროდუქციის ხარისხისა და უვნებლობის საკითხების შესწავლა.
- რამდენადაც პროგრამა ინგლისურენოვანია,მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს გააჩნდეს აღნიშნულ დარგში მათივე კომპეტენტურობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- სასურველია, სასწავლო წლის დაწყებამდე დასრულდეს მიკრობიოლოგიის ლაბორატორიის მონტაჟი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ ყველა შინაარსობრივი რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო და ცვლილებებიც დამტკიცდა ყველა წესის დაცვით.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ იკითხა, ქართულენოვან პროგრამას თუ ჰქონდა გავლილი აკრედიტაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამა ანალოგიური იყო და აკრედიტირებული, შემდეგ მოიძიეს ინგლისურენოვანი კადრები და ჩართეს პროგრამაში. ქართულენოვანისგან გასხვავებით, ამ პროგრამაში თემები უფრო მოცულობითი ტექნიკური ბაზა და ლიტერატურა დახვეწილი იყო. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან

საქართველო ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის, წევრი იყო, სურდათ, პროგრამა საერთაშორისო დონის ყოფილიყო, შესაბამისად მოიაზრებოდა უცხოენოვანი სტუდენტების მიღებაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალი დაკომპლექტებული იყო საერთაშორისო გამოცდილების მქონე, კვლევებში მონაწილე კადრებით. გაფორმებული იყო ხელშეკრულება მცხეთის ღვინის ქარხანასთან და სხვა დაწესებულებებთან, სადაც ბაკალავრებიც გადიოდნენ პრაქტიკას. პროგრამა შემუშავებული იყო უცხოური ანალოგების მიხედვით.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ ქართულენოვანი პროგრამა თუ იყო აწყობილი ამ მოთხოვნების საფუძველზე. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ქართულენოვანი პროგრამა ორიენტირებული იყო ქართულ ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქტის მომზადებაზე. ქართულენოვანი პროგრამის პროფესორების ნაწილი, ვისაც შეეძლოთ ინგლისურად ლექციების წაკითხვა, ჩართული იყვნენ ინგლისურენოვან პროგრამაშიც.

11. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა

პროგრამის დასახელება:	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	02
კრედიტების რაოდენობა:	240

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გოჩა თუთბერიძემ. მან საბჭოს გააცნო პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები:

- ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია, დაზუსტდეს საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა. კერძოდ, ზოგიერთი სასწავლო კურსი გადის გაცილებით ფართო სწავლის შედეგებზე, მაგრამ ისინი არ არის სათანადოდ გაწერილი სასწავლო კურსებში. მაგ. სასწავლო კურსი „ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 1“, კომპეტენციათა რუკის შესაბამისად, ანვითარებს მხოლოდ ერთ უნარს ცოდნა-გაცნობიერებას. იმავდროულად ეს კურსი არის „ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები 2“-ის წინაპირობა. ცხადია, რომ აღნიშნული კურსი სწავლის უნარს უნვითარებს სტუდენტს; მათემატიკა ბიზნესისათვის 1 და 2 სასწავლო კურსები, წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკით, მხოლოდ ორ უნარს ანვითარებს - ცოდნა-გაცნობიერება და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ჩვენი აზრით, ეს საგნები ასევე ანვითარებენ დასკვნისა და სწავლის უნარებს. იგივე შეიძლება ითქვას „მიკროეკონომიკაზე“.
- სასწავლო გეგმის მიხედვით, ერთსადაიმავე სემესტრში ისწავლება ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“, „ფინანსების ზოგადი თეორია“ და „საგადასახადო საქმის საფუძვლები“. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ უმჯობესი იქნება ამ სასწავლო კურსების სწავლება შემდეგი თანმიმდევრობით: „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“, „ფინანსების ზოგადი თეორია“ და „საგადასახადო საქმის საფუძვლები“. სასწავლო კურსების ასეთი ქრონოლოგიური წყობა იქნებოდა თანმიმდევრული და ლოგიკური.
- ექსპერტთა ჯგუფს ასევე მიზანშეწონილად მიაჩნია რიგ სასწავლო კურსებთან მიმართებაში წინაპირობების დაზუსტება. კერძოდ, სასწავლო კურსები: „საგადასახადო საქმის საფუძვლები“ (მე-4-ე სემესტრი), „ლიდერული უნარ-ჩვევები“ (მე-8-ე სემესტრი), „მენეჯმენტის საფუძვლები“ (მე-3-ე სემესტრი), „საბაჟო საქმის საფუძვლები“ (მე-6-ე სემესტრი) და „ჰარმონიზებული სისტემა“ (მე-6-ე სემესტრი) ისწავლებიან წინაპირობების გარეშე. საგნების განაწილება სემესტრების მიხედვით ლოგიკურია და თუ ყველა სტუდენტი მიჰყვება სასწავლო გეგმას,

მაშინ პრობლემას ვერ ვხედავთ, მაგრამ ვინაიდან სტუდენტს უფლება აქვს თვითონ განსაზღვროს სასწავლო პროფილი (რასაც კოლეჯიც არ უკრძალავს), თანაც მოქმედი წესებით სტუდენტს უფლება აქვს სემესტრის განმავლობაში აიღოს 40, ხოლო წლის განმავლობაში კი 75 კრედიტი, მას უფლება აქვს პირველივე სემესტრში აირჩიოს ზემოთჩამოთვლილი სასწავლო კურსებიდან ნებისმიერი, რაც, ჩვენი აზრით, არ იქნება გამართლებული, ვინაიდან აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლება გარკვეულ წინაპირობის დაკმაყოფილებას აუცილებლად საჭიროებს.

- სასწავლო გეგმით ბიზნეს-პროექტი, რომელიც თავისი შინაარსით საბაკალავრო ნაშრომის იდენტურია (15 კრედიტი) ისწავლება ბოლო მე-8-ე სემესტრში. წინაპირობაში მითითებულია, „ზოგადსავალდებულო და ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები (ამ კურსის გარდა)", მაგრამ სტუდენტებს ჯერ არ აქვთ დასრულებული ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსების სწავლება. კერძოდ, იმავე სემესტრში ისწავლება სამი სავალდებულო კურსი: „ლიდერული უნარ-ჩვევები", „საქართველოს ეკონომიკა", „კორპორატიული კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე". შესაბამისად, სტუდენტებს მოუწევდათ ერთი სემესტრის დამატება. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული და 2015 წლის 17 ივნისს გამოსცა ბრძანება №056, რომლითაც შევიდა ცვლილება პროგრამის პირველ დანართში და ეს ხარვეზი გასწორდა. (იხ. დანართი საქართველოს ბიზნესის აკადემიის რექტორის წერილი, ბრძანება და კორექტირებული სასწავლო გეგმა).

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შემუშავებული რეკომენდაციებისათვის და აღნიშნა, რომ ეს პროგრამა ბევრი ადამიანის ერთობლივი შრომის შედეგი იყო, ერთი წლის გამნავლობაში ავტორიზებულ რეჟიმში მუშაობდა, შემდეგ გადაწყვიტეს აკრედიტაციის განაცხადის გაკეთება. დაწესებულების წარმომადგენლებისთვის მისაღები იყო აკრედიტაციის ჯგუფის რეკომენდაციები. პროგრამა კი დუბლინის დესკრიპტორს ეფუძნებოდა, შესაბამისობაში იყო ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესთან".

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მაგალითად, ბუღალტერიის სასწავლო კურსებში შესაძლებელი იყო სწავლა წინაპირობების გარეშე. თუმცა აკადემიურ პერსონალთან შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელი იყო აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება.

მესამე რეკომენდაციას რაც შეეხებოდა, მისი თქმით, სტუდენტს ჰქონდა თავისუფალი არჩევანის საშუალება მეორე სემესტრიდან. რეკომენდაციაში ექსპერტის ძიერ მოყვანილი პრინციპი შენარჩუნებული იქნებოდა.

მეოთხე რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო დაწესებულების მიერ.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამაზე 23 სტუდენტი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიამ ავტორიზაცია გაიარა როგორც ბიზნესის მიმართულების საგანმანათლებლო დაწესებულებამ, მათი მისიაც ბიზნესის განვითარებაზე იყო ორიენტირებული, სხვა მიმართულებების პროგრამების განხორციელებას მომავალშიც არ გეგმავდნენ.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა მათი პროფესიული სტუდენტები საბაკალავრო პროგრამაზე თუ აგრძელებდნენ სწავლას, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, იშვიათად ხდებოდა ასეთი ფაქტი საკანონმდებლო ბარიერის გამო.

12. შპს კავკასიის უნივერსიტეტის შედარებითი სახელშეკრულებო სამართლის გერმანულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	შედარებითი სახელშეკრულებო სამართლის სამაგისტრო პროგრამა
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	კერძო სამართლის მაგისტრი სახელშეკრულებო სამართალში
სწავლების ენა:	გერმანული
კვალიფიკაციის კოდი:	060301
კრედიტების რაოდენობა:	120

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა რევაზ ხოფერიამ და ქეთევან ქოქრაშვილმა.

- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში მითითებულია, რომ კურსდამთავრებულს „შეუძლია უცხოენოვანი იურიდიული ლიტერატურის დამოუკიდებელი კვლევა და ქართულის გარდა სულ მცირე ერთ უცხო ენაზე აკადემიური სტანდარტების დაცვით ნაშრომის შექმნა.“ მიზანშეწონილია მითითებულ იქნას გერმანული ენა, რადგან სასწავლო პროცესი გერმანულ ენაზე განხორციელდება და ლიტერატურაც, ძირითადად, გერმანულენოვანია.
- ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ უმჯობესია დაშვების წინაპირობები იყოს უფრო მეტად გამჭვირვალე, კერძოდ, დასაზუსტებელია რას გულისხმობს „სრული ან არასრული კურსის გავლა ევროპაში.“ რადგან პროგრამა გერმანულენოვანია და პროგრამაზე მიღების წინაპირობაც გერმანული ენის სათანადო დონეზე ცოდნაა, მიზანშეწონილია დაზუსტდეს, რომ ევროპაში კურსის გავლა გულისხმობს გერმანულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განათლების მიღებას, რაც დასტურდება კვალიფიკაციის მინიჭებით ან სასწავლო კურსის/კურსების ჩაბარებით.
- სასწავლო გეგმის მიხედვით, მე-4 სემესტრში ისწავლება საგანი - „სამართლებრივი წერისა და კვლევის მეთოდები.“ ამავე სემესტრში ხდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა. უმჯობესია სამართლებრივი წერისა და კვლევის მეთოდების სასწავლო კურსი წინ უსწრებდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას, რადგან კვლევისა და აკადემიური წერისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები სტუდენტმა უნდა შეიძინოს არა სამაგისტრო ნაშრომის წერის პარალელურად, არამედ ნაშრომის შესრულებამდე.
- სილაბუსებში მოცემულია კურსის ფორმატი (Format des Studienkurses), რომელშიც მითითებულია კრედიტის შესაბამისი საათების რაოდენობა. დამოუკიდებელი სამუშაოს (Selbständige Arbeit) საათებში ჩათვლილია საკონსულტაციო საათები (Beratung). მაგალითად,

Fachsprache; Fachwörter aus dem Bereich Vertragsrecht სასწავლო კურსი მოიცავს 10 კრედიტს. საათების განაწილება ასეთია: 28 საათი ლექცია; 9 საათი სემინარი; 52 საათი პრეზენტაცია (52 საათში 3 საათი განკუთვნილია უშუალოდ პრეზენტაციისთვის, ხოლო დანარჩენი - მოსამზადებლად); 5 საათი გამოცდებისთვის; 150 საათი (მათ შორის 6 საათი კონსულტაცია). საათების დაჯამებით ვიღებთ 244 საათს, ნაცვლად 250 საათისა. ამიტომ, სილაბუსები ამ ნაწილში საჭიროებს გადამუშავებას. გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ საკონსულტაციო საათები საერთოდ არ უნდა იყოს ჩათვლილი კრედიტის მისაღებად საჭირო საათების რაოდენობაში, რადგან სტუდენტისთვის კრედიტის მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სახის დატვირთვა საჭიროებს შეფასებას.

13. შპს კავკასიის უნივერსიტეტის შედარებითი სახელშეკრულებო სამართლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	შედარებითი სახელშეკრულებო სამართლის სამაგისტრო პროგრამა
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	კერძო სამართლის მაგისტრი სახელშეკრულებო სამართალში
სწავლების ენა:	ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი:	060301
კრედიტების რაოდენობა:	120

- ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ უმჯობესია დაშვების წინაპირობები იყოს უფრო მეტად გამჭვირვალე, კერძოდ, დასაზუსტებელია რას გულისხმობს „სრული ან არასრული კურსის გავლა ევროპაში." მიზანშეწონილია დაზუსტდეს, რომ ევროპაში კურსის გავლა გულისხმობს ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განათლების მიღებას, რაც დასტურდება კვალიფიკაციის მინიჭებით ან სასწავლო კურსის/კურსების ჩაბარებით.
- სილაბუსში - „სამოქალაქო სამართალი პროცესი ანგლო ამერიკული სამართლის ქვეყნებში (შედარება ქართულ სამართალთან) - სავალდებულო ლიტერატურის გრაფაში არ ფიქსირდება ლიტერატურა ქართული სამართლის შესახებ, მითუმეტეს, რომ ყველა განსახილველი საკითხი წარმოდგენილია ქართულ სამართალთან შედარებითი სამართლებრივი ანალიზის მეშვეობით; ხოლო დამატებით ლიტერატურაში მოცემული მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო (თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები", სამართალი, თბილისი, 2007), წარმოადგენს მოძველებულ ვერსიას (2014 წელს გამოიცა ახალი სახელმძღვანელო - თ.ლილუაშვილი, გ.ლილუაშვილი, ვხრუსტალი, ზ.ძლიერიშვილი „სამოქალაქო საპროცესო სამართალი").
- სილაბუსში - „საკუთრების სამართალი ანგლო-ამერიკული და გერმანული პერსპექტივიდან" მეათე თემად განხილულია იჯარის, ქირავნობის, ლიზინგის სამართლებრივი რეგულაციები, რაც წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის სფეროს და არ შედის საკუთრების სამართლის რეგულაციაში.
- ზოგიერთ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურის პირველივე გრაფაში მოცემულია საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი (მაგალითად, სილაბუსში - „საკუთრების სამართალი ანგლო-ამერიკული და გერმანული პერსპექტივიდან"), ასევე, ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი (მაგალითად, სილაბუსში - „არანამდვილი ხელშეკრულების შესრულება და მისი რესტიტუცია გერმანული და ანგლო-ამერიკული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით (შედარება ქართულ სამართალთან)).

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანმა ზაზა მარუაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შემუშავებული რეკომენდაციებისათვის და აღნიშნა, რომ ქართულენოვან სამაგისტრო პროგრამაზე სწავლობდა დაახლოებით 290 სტუდენტი, საბაკალავრო პროგრამაზე - 300, აქედან მიმდინარე წელს ამთავრებდა 74 სტუდენტი, რომელთაგან 51 მიდიოდა საზღვარგარეთ სასწავლებლად. იმ შემთხვევაში, თუ კავკასიის უნივერსიტერტი მისცემდა საშუალებას მიეღოთ განათლება ინგლისურ ან გერმანულ ენაზე, ისინი შეძლებდნენ სტუდენტების შენარჩუნებას. ამან მისცა ბიძგი აღნიშნული პროგრამების შემუშავებას. კავკასიის უნივერსიტეტს სამართლის პროგრამაზე ჰყავდა ბევრი გერმანულენოვანი სტუდენტი, რომელბსაც ჰქონდათ C1 დონის დამადასტურებელი ენის სერთიფიკატი. დაწესებულების წარმომადგენლების აზრით მომდევნო სასწავლო წელს 15 გერმანულენოვანი სტუდენტის მიღებას ვარაუდობდნენ, ხოლო ინგლისურენოვან პროგრამაზე 20 სტუდენტის.

დაწესებულების წარმომადგენელი ექსპერტთა რეკომენდაციებს გამოეხმაურა და განმარტა, რომ ვიზიტის დასრულების შემდეგ პროგრამაში ჩართულმა პირებმა იმსჯელეს და რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი გათვალისწინებულ იქნა, დაკონკრეტდა რა იგულისხმებოდა საზღვარგარეთ კურსის გავლაში; სილაბუსში - „სამოქალაქო სამართალი პროცესი ანგლო ამერიკული სამართლის ქვეყნებში (შედარება ქართულ სამართალთან)“ ახალი გამოცემა იქნა მითითებული. მესამე რეკომედაციასთან დაკავშირებით, საბჭოს განემარტა, რომ მიზანი იყო სარგებლობის უფლების წარმოშობის ვალდებულებით სამართლის საფუძველზე ესაუბრა ლექტორს სტუდენტებთან, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ლიზინიგით არა მხოლოდ სარგებლობის, არამედ საკუთრების უფლებასაც წარმოშობს, თუმცა მაინც მიეცა ლექტორს მითითება, გაეთვალისწინებინა აღნიშნული რეკომენდაცია. მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით გადაწყდა, დაეტოვებინათ კოდექსი და კონსტიტუცია, თუმცა ნუმერაციით მესამედან მეთხე ადგილზე გადავიდა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რამდენად მიზანშეწონილი იყო თემების ასე დავიწროება და რამდენად ხელის შემშლელი იქნებოდა ეს სტუდენტებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, კავკასიის სამართლის სკოლამ დამსაქმებლების და ბაზრის მოთხოვნის საფუძველზე გადაწყვიტა, ქვედარგზე გასულიყო სახელშეკრულებო სამართლის სპეციფიკიდან გამომდინარე. ასევე, ისინი განსაკუთრებულ მნიშნელობას ანიჭებენ სახელშეკრულებო სამართლის შედარებით ანალიზს, მაგალითად, ქართული და ამერიკული კომპანია დებს ხელშკერულებას, სადავოა, თუ რომელი ქვეყნის სამართალმა უნდა მოაწესრიგოს ურთიერთობა. თუ მხარეები აირჩევენ უცხო ქვეყნის სამართალს, ამ შემთხვევაში გლობალიზაციის პირობებში მნიშვნელოვანი იქნებოდა მატერიალური სამართლის ცოდნა.

საბჭო დაინტერესდა, რატომ გადაწყვიტეს გერმანულენოვანი პროგრამის შექმნა.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ლადო ჭანტურიას რედაქტირებით ხდება სამოქალაქო კოდექსის კომენტარებზე მუშაობა და პირველი მოთხოვნა იყო ის, რომ გერმანული ენა სცოდნოდა იურისტს. ვინაიდან ქართული სამოქალაქო სამართალი ეფუძნებოდა გერმანულ სამართალს , ამიტომ მნიშვნელოვანი იყო პროგრამის არსებობა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ზაზა მარუაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ ეთანხმებოდა და გაითვალისწინებდა რეკომენდაციებს.

საბჭო დაინტერესდა, ინგლისურ და გერმანულენოვან პროგრამებს მსგავსი სტრუქტურა ჰქონდათ თუ არა, მხოლოდ სწავლების ენაში ხომ არ იყო განსხვავება. წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ რამდენიმე საგანი იყო განსხვავებული.

საბჭომ ითხოვა გერმანულენოვან პროგრამაში კვლევის მეთოდებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე განმარტება, ორივე პროგრამაში მსგავსი ვითარება იყო თუ არა ამ კუთხით, ექსპერტთა განმარტებით, ორივე პროგრამაზე კვლევის და სწავლის კომპონენტი პარალელურად იყო მოცემული.

19:08 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 19:24 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო მიღებული გადაწყვეტილებები:

- შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების (ქართულენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას გაუუქმდეს აკრედიტაცია (მომხრე- 0; წინააღმდეგი - 5);
- შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას გაუუქმდეს აკრედიტაცია (მომხრე- 0; წინააღმდეგი - 5);
- შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას გაუუქმდეს აკრედიტაცია (მომხრე- 0; წინააღმდეგი - 5);
- ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0);
- ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მედიცინის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0);

- სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის - „მედიცინა+PBL“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0);
- სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყლის ინჟინერიის ქართულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (მომხრე - 4, წინააღმდეგი - 1);
- სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყლის ინჟინერიის რუსულენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (მომხრე - 4, წინააღმდეგი - 1);
- სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყლის ინჟინერიის ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (მომხრე - 4, წინააღმდეგი - 1);
- სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მევენახეობისა და ენოლოგიის ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0);
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0);
- შპს კავკასიის უნივერსიტეტის შედარებითი სახელშეკრულებო სამართლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0);
- შპს კავკასიის უნივერსიტეტის შედარებითი სახელშეკრულებო სამართლის გერმანულენოვანი სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 19:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა

თავმჯდომარე
გიორგი კამკამიძე

მდივანი
ნინო დავლაშერიძე